

## საქართველოს ეროვნული სამოსის დღე საქართველოს 25 ქალაქსა და აშშ-ს და ევროპის 12-მდე ქალაქში

საზოგადოების მიერ თვით ორგანიზებულმა საქართველოს ეროვნული სამოსის დღემ წელს უპრეცედენტო მასშტაბები მიიღო. საქართველოს ეროვნული სამოსის დღე საქართველოს საზღვრებს გასცდა და ქართული სათვისტომოების და საქართველოს საელჩოების მიერ გაიმართება შემდეგ ქალაქებში: ვაშინგტონში საქართველოს საელჩოში, ქართული სათვისტომოს ორგანიზებით ლონდონში, დუბლინში, კიევში, თელავივში, მოსკოვში, მინსკში, სტამბულში და ევროპის კიდევ რამდენიმე ქალაქში.

საქართველოში კი ეროვნული სამოსის დღე 25-მდე ქალაქში აღინიშნება. მთელი საქართველოს მასშტაბით დაგეგმილია კარნავალის ტიპის კოსტიუმირებული ალღუმები, საინტერესო გამოფენები, კონცერტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობასთან. ორგანიზატორების განცხადებით სხვა მუნიციპალიტეტებსაც შეუძლიათ შეუერთდნენ და ადგილობრივი რესურსით ღონისძიებები დაგეგმონ.

18 მაისი იქცა დღედ, როცა მთელი საქართველო ერთდროულად მართავს მასშტაბურ ღონისძიებებს და კარნავალის ტიპის კოსტიუმირებულ ალღუმებს. მთელი საქართველო ღია ცის ქვეშ გაცოცხლებულ მუზეუმად იქცევა და ქვეყანაში არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა სხვადასხვა ფორმით ქუჩებში გამოიფინება.

როგორც ეროვნული სამოსის დღის ერთ-ერთი დამფუძნებელი ირაკლი ქოქოსაძე აღნიშნავს, არსებობს დიდი პერსპექტივა 18 მაისი მთელი მსოფლიოსთვის საქართველოს სავიზიტო ბარათად და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საუკეთესო შესაძლებლობად იქცეს.

„ქართული სამოსი საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ მხრივ დიდი კულტურული მემკვიდრეობა გავაჩნია. 18 მაისს ნებისმიერ მსურველს შეეძლება თავისი ისტორიული სამოსით გამოვიდეს ქუჩაში, სამსახურში, სკოლაში, უნივერსიტეტში და ა.შ. რა თქმა უნდა სურვილისამებრ“–დასძენს ერთ-ერთი ორგანიზატორი ბაჩანა ჭანტურია

ერთ-ერთი დამფუძნებლის დავით გოგლიჩიძის განმარტებით, კოსტიუმირებულ მსვლელობებში ქართველების გარდა, ნებისმიერი ეროვნების ადამიანი შეძლებს მონაწილეობას, თავისი ეროვნული კოსტიუმით.

„ეს იქნება დღესასწაული ჯგბირების გარეშე, სადაც ღონისძიებებში და ალღუმებში თვითონ მოქალაქეებიც მიიღებენ მონაწილეობას. რაც ყველაზე მთავარია ეს დღე შევქმენით საზოგადოებრივმა ჯგუფმა საზოგადოების მხარდაჭერით. მარტო ჩვენს Facebook გვერდს 100 ათასზე მეტი მოწონება აქვს. უამრავი ადამიანი გვწერს რომ აქვთ ეროვნული კოსტიუმი, ზოგს თავისი პაპა-ბებიების დანატოვარი, ზოგს ფოლკლორული ანსამბლებიდან, ზოგს

სხვადასხვა დღესასწაულისთვის შეკერილი და კარადაში უკიდიათ დანიშნულების გარეშე, ვერ იყენებენ. წარმოიდგინეთ ყველა ეს კოსტიუმი დღის სინათლეზე რომ გამოვა ქუჩაში, ეს იქნება ისტორიის გაცოცხლება, სიმბოლური დროში მოგზაურობა, რაც განსაკუთრებულად უცხოელ ტურისტებს დაინტერესებს და მოიზიდავს“ \_აღნიშნავს ერთ-ერთი დამფუძნებელი მარი ონეზაშვილი

ორგანიზატორების განმარტებით, ეროვნული სამოსის დღის დაწესება ხელს შეუწყობს ასევე ქართული რეწვის განვითარებას და ამ დარგის გადარჩენას. დაინტერესებს უცხოურ მედიას, რაც ხელს შეუწყობს, 18 მაისი მსოფლიო ტურისტულ კალენდარში ჩაინიშნოს და მეტი ტურისტი დაინტერესდეს ჩვენი ქვეყნით, ისტორიით და კულტურით.

„შესაძლოა იმ ქალაქების რიცხვი კიდევ გაიზარდოს, სადაც 18 მაისი აღინიშნება. ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და მუნიციპალიტეტები თავისი სურვილით ერთვებიან ღონისძიებებში. სავრაუდოდ მთელი საქართველო, უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტი ჩაერთვება ჩვენს წამოწყებაში. თბილისში ჩვენ ვმართავ საორგანიზაციო ჯგუფი. ევროპის მოედანზე იქნება მრავალფეროვანი გამოფენები, კონცერტები, კოსტიუმირებული ალღუმი და სხვადასხვა ღონისძიებები“ - განმარტავს ერთ-ერთი ორგანიზატორი დათა გვასალია

შეგახსნებთ, რომ 18 მაისი როგორც ეროვნული სამოსის დღე 2016 წელს პირველად აღინიშნა საქართველოს 14 ქალაქში.

### **საკონტაქტო პირი:**

ეროვნული სამოსის დღის ერთ-ერთი დამფუძნებელი და PR მენეჯერი

მარი ონეზაშვილი

ტელ: 599 18 07 44